

„ჩასწორებული“ პოეტური ტექსტები
“CORRECTED” POETIC TEXTS

რუსუდან ნიშნიანიძე
Rusudan Nishnianidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: „ჩასწორებული“ ტექსტები, დროის ინდექსი,
ს. ბერეჟიანი, გ. გამყრელიძე

Keywords: “Corrected” texts, time index, S.Berezhiani, G.Gamkrelidze

დავსვით კითხვა: რა შემთხვევაში ცვლის ავტორი დაწერილ ტექსტს. პასუხი არაერთი იყოს შესაძლოა; ეგებ, იმიტომ, რომ უკეთესის სურვილს იტოვებს, ან გარკვეული დროის შემდეგ სათქმელი მოძველებული ჰგონია და ე.წ. „ახალი სიცოცხლის“ სურვილი ამოძრავებს, ან კიდევ, ეს „ჩასწორება“ სრულიადაც არაა მისეული და მას ცენზორის ხელი ეტყობა.

უცხოეთში სათქმელი განსხვავებულად მიიღწევა. ამ ტექსტებში უმნიშვნელო არ გახლავთ ავტორ-პერსონაჟის ადგილი. თუკი მივყვებით ბიოგრაფიულ მოვლენებს, უმნიშვნელო არაა განვლილი შთაბეჭდილებით დაბადებული ლექსები, პოეტურად გახმიანებული ხმამაღალი ფიქრი. ლექსებში იმნუთიერი ემოცია თვალში საცემია. ამ სივრცეში არ არსებობს იდეოლოგიური ცენზორი; აქ ზუსტი შემფასებელი საკუთარი ნიჭი და სინდისია. თუმცა იმ პოეტურ ტექსტებს, რომელთაც წარმოვადგენ, რეალობის გაცნობიერებას დავარქმევდი. აქ დრო ასრულებს თავის გადამწყვეტ როლს. ამდენად, „ჩასწორებული“ ვერსია (სხვადასხვა აბზაცი თუ სტროფი) განსხვავებულ აზრობრივ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. თავიდან ეს ზოგადი სალექსო სიუჟეტია, შემდგომ შეცვლილ ვარიანტებს დროის ინდექსი ახლავს – როდის შეცვალეს. ისინი ავტორის სულიერ მდგომარეობას ფრთხილად და ვთქვათ ასეც, მიმანიშნებლად გადმოსცემენ.

განვიხილავ ემიგრაციაში, სხვადასხვა ქალაქში (ბერლინი, პარიზი, სანტიაგო დე ჩილე), გამოცემული რამდენიმე ავტორის (სიმონ ბერეჟიანი, გიორგი გამყრელიძე) დაბეჭდილ ლექსებს და, შესაბამისად, მოგვიანებით უკვე სხვა გაზეთსა თუ წიგნში დასტამბულ „ჩასწორებულ“ ტექსტებს.

ზოგადად, ემიგრანტული პოეზია ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მით უფრო მათი ვარიანტები. მოძიება და ლიტერატურული კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მხატვრული თვალთახედვით, არამედ სამეცნიერო თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა:

ბერეჟიანი, ს. (1937). გურიას, გაზ. „ქართლოსი“, 1.

ბერეჟიანი, ს. (1943). ნაწერები, ბერლინი.

ბერეჟიანი, ს. (1982). ლექსები, პარიზი.

გამყრელიძე, გ. (1932). ლურჯი მონოკლი, პარიზი.

გამყრელიძე, გ. (1960). გვიანი რთველი, სანტიაგო დე ჩილე.

The answers to the question, in what case does the author change the written text, may be numerous. For instance, the author may have wanted to do better, or after some time, he may have thought the text to be outdated and was driven by the so-called desire to give his work a “new life”, or even, this “correction” may not have been made by the author but by a censor. Things are said differently abroad. The place of the author-character is not insignificant in these texts. If we follow the biographical events, the poems are not insignificant, the poetically voiced thinking is insignificant. The momentary emotion is striking. There is no ideological censor in this space. Here the exact evaluator is the writer’s talent and conscience. However, I would call the poetic texts I present “awareness of reality”. Here time plays a crucial role. Thus, the “corrected” version (different paragraphs or stanzas) is a different interpretation. At first, this is a general text story, then the modified versions are accompanied by the indication of the time they were changed. They convey the author’s spiritual condition carefully and so to speak, as a reference.

In this paper, I discuss the poems published by several authors (Simon Berezghiani, Giorgi Gamkrelidze) published in emigration, in various cities (Berlin, Paris, Santiago de Chile) and the “corrected” texts published in other newspapers or books.

In general, immigrant poetry is less known to the general public, especially its variants. Finding, analyzing and exploring them from the literary standpoint, is important not only from an artistic point of view but, also, from a scientific point of view.

References:

Berezghiani, S. (1937). Gurias [Guria] news. „Karloši”,1.

Berezhiani, S. (1943). Nawerebi [Writings], Berlin.

Berezhiani, S. (1982). Leqsebi [Poems], Paris.

Gamkrelidze, G. (1932). Lutji Monocli [Blue Monocle], Paris.

Gamkrelidze, G. (1960).Gviani Rtveli [Late Vintage], Santiago de Chile.